პარტნიორობა ღია მმართველობისათვის- საქართველოს მიღწეული შედეგი და გამოწვევები

ნინო ქადაგიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მერაბ ლაბაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2015 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში შეფასებულია ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში მიღებულ საქართველოს ეროვნულ სამოქმედო გეგმებში გაწერილი ვალდებულებები, გაანალიზებულია მათი მნიშვნელობა და შედეგი.

ღია მმართველობის პარტნიორობა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბრაზილიის ერთობლივი ინიციატივაა, რომლის განხორციელება 2011 წლის სექტემბერში დაიწყო. OGP არის რეფორმების ერთიანობა, რომელიც განსაკუთრებით აისახება განვითარებადი ქვეყნებზე. მის ფარგლებში მთავრობები იღებენ ვალდებულებას ჩართონ მოქალაქეები გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადონ სახელმწიფო სერვისები. სამოქმედო გეგმებით აღებული ვალდებულებების ხარისხით განისაზღვრება ქვეყნის მიღწევები ინიციატივის ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ OGP-ის ვალდებულებების შესრულება არის მნიშვნელოვანი წინაპირობა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისთვის. ინიციატივა ამტკიცებს, რომ ყველა სხვა მმართველობის ფორმებისგან განსხვავებით დემოკრატია მეტად სასიკეთოა მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრები ადამიანისთვის.

ნაშრომი შედგება სამი ნაწილისგან. პირველ ნაწილში საუბარია ინიციატივის მნიშვნელობაზე ქვეყნებისთვის, მიზნებზე, პრინციპებსა და ღირებულებებზე, რომელსაც OGP მოიცავს. ასევე, საქართველოსა და OGP-ის ურთიერთობაზე, მის როლზე საქართველოს წინსვლის პროცესში.

მეორე ნაწილი ყველაზე ვრცელია, მასში წარმოდგენილია ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში აღებული ვალდებულებები, რომელიც გაწერილია 2012-2013 და 2014-2015 წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმებში, ვალდებულებებზე პასუხისმგებელი უწებებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის საფუძველზე გაანალიზებულია მიღწეული შედეგები, ხარვეზები და სამომავლო გეგმები. ნაშრომი ასევე ემყარება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამინტის (ღია მმართველობის პარტნიორობას ეროვნულ დონეზე კურირებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი) წარმომადგენილისგან აღებულ ინტერვიუს და არასამთავრობო ორგანიზაცია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტიუტის“ (IDFI) მიერ მოწოდებულ მასალებს.

ნაშრომის ბოლო ნაწილი ეთმობა პარტნიორობის ფარგლებში საქართველოს მიღწევებს და დასკვნის სახით შეჯამებულია ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევები ინიციატივის ფარგლებში და შეთავაზებულია გარკვეული ნაბიჯები, რომელიც OGP საქართველოს შედეგის გაუმჯობესებას ემსახურება.